წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:**
წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:**
პეტიტით სტრიქონი პირველ გვერდზე ... ღირს 15 კ. ... სხვა ადგილიდან ... ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. ... განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 459 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 459

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე იოსებ ეგნატეს ძე ვაშაკიძე, დედა ეკატერინე ქაიხოსროს ასული რაფალსკისა, ძმა ტიმოთე ათანასეს ძე რაფალსკი, რძალი ტატიანა რაფალსკისა, დედამთილი ალათი გრიგოლის ასული ვაშაკიძისა, მულები ნადია ეგნატეს ასული ვაშაკიძე და კესარია ეგნატეს ასული გუგუშვილისა, მაზლი გიორგი ეგნატეს ძე ვაშაკიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა უსაყვარლესი

## ალექსანდრა (საშა) ათანასეს ასული ვაშაკიძისა

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს—13 ოქტომბერს $2^1/_2$ საათზე, საფირჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 6 საათზე. გოსპიტლის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 6. კერძო წერილები არ დარიგდება.

---

## ელექტრო „ამპირ" თეატრი

ორშაბათიდან, 10 ოქტომბრიდან

**ის იყო ქალიშვილი თავისუფლებისა.**

საუკეთესო ფრანგ მსახიობთა მონაწილეობით. მთელი სურათი ფერადებითაა შესრულებული

**ავტომობილები, როგორც სამხედრო სავალე ჰოსპიტლები.**

გადაღებულია ნამდვილიდან.

**ქარაფშუტა ცოლ-ქმარნი.**

სახუმარო.

**ა ნ ო ნ ს ი:** ხუთშაბათიდან, 13 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება:

**ვარშავის შარა გზაზე**

ვარშაველ აპაშების (ქალაქების ყაჩაღები) ცხოვრებიდან აღებული დრამა 4 ნაწ. ვასილევსკაიასა და ჩეპელსკის ... ნაწ.

სახუმარო **ბანკირის ცოლი.** სახუმარო

ახლო მომავალში ქ-ნ კარალლის, ბ-ნ კოლონსკისა და პერესტიანის მონაწილეობით წავა: „სიყვარულის ქარიშხალი".

---

## გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია

პატივისცემით მოაგონებს თავის წლიურ ხელის მომწერლებს დააჩქარონ ხვედრი ფულის შემოტანა.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ბოკერია** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

ც-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**ექიმი** **ი. ჩარკვიანი** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათ მყოფებს.

**მისამართი:** ლვოვშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

**ექიმმა** **ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბაღახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

---

## გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

**მისამართი:** გაზ. „სამშობლოს" რედ

---

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საჭიმთ ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ხემგანვე ახალ გამოგონილი წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივნდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

---

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჭილაძის. შესავალი გაზ „მეგობრის" რედაქციის ბინიდან.

---

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

## ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 10 ოქტომბრიდან

**ავტომობილები, როგორც სამხედრო სავალე ჰოსპიტლები.**

გადაღებულია ნამდვილიდან.

**ნეოპოლიტანელი ქალის შურის მიება.**

მხატვრული დრამა 4 ნაწილად ცნობილ იტალიელ ლამაზ ქალის ფრანჩესკა ბერტონის მონაწილეობით.

კომიკური **ამერიკელ მონადირის განსაცდელი.** კომიკური.

**ა ნ ო ნ ს ი:** ხუთშაბათიდან, 13 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება მხიარული ფარსი:

**ტელეფონის შემწეობით ჯვარის წერა.**

**პატე ჟურნალი.** მიმდინარე ამბები.

ახლო მომავალში მოზჟუხინის მონაწილეობით წავა „შუბიანი ქალი" (ПИКОВАЯ ДАМА).

---

## განცხადება.

**1 ოქტომბრიდან გაიხსნა** ჭრა-კერვის კურსები **კატო ალიხანაშვილისა.**

კურსი არის ერთ წლიანი, მოსწავლე ქალები ერთი წლის შემდეგ მიიღებენ შესაფერ ატესტატს სახელმწიფო უფლებით. მსურველთ შეუძლიათ პირობების გაგება და ჩაწერა დადიანის ქუჩაზე, პატარიძის სახლში ალიხანაშვილთან.

---

**დაიბეჭდა** **ბ. დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი:** „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო" პირველი ნაწილი **ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა.** გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა. ფასი წიგნისა 6 აბაზი.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ. ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა" და ბ. კ. ციფიანის მიერ შედგენილი ალგებრა ქართულ ენაზე. 10—3

---

ქუთაისის **პირველი** უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის ინსტრუქტორი ამით აცხადებს, რომ სასწავლებელთან არსებულ

## პედაგოგიურს კურსებზე,

ამ მიმდინარე სამოსწავლო წელს, მიღებული იქნებიან აგრეთვე **ქალებიც,** რომლებსაც გაუთავებიათ არა ნაკლებ ოთხი კლასისა. ვინც ამ კურსებს დაასრულებს მიეცემათ **მოწმობა** სახალხო სკოლების მასწავლებლობისა. კურსები ორ წლიანია. მეორე კურსზე მსმენელებს მიეცემათ სტიპენდია. მსმენელებმა თხოვნები და საჭირო საბუთები თვითონ უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე, სასწავლებლის კანცელარიაში დილის 9 საათიდან—ნაშუადღევის 2 საათზე.

---

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.**

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი** 11 ოქტომბერი. საყურადღებო არაფერი მომხდარა.

**კავკასიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი** 11 ოქტომბერი. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. მდინის (ოზვანის სამხრეთ აღმოსავლეთით არის) ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა ქურთთა ბრბო განდევნა და წაართვა: სხვადასხვა სურსათი და 400 სული საქონელი.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 10 ოქტომბერი. საღამოს ოფიციალი ცნობა. სომმას ჩრდილოეთით მოჟვალშიფრიდან ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები ვაწარმოვეთ და წინ წავიწიეთ. მუშის საინზელის ჩრდილო დასავლეთით 80 მდე კაცი დაგვიტყვევებია. სომმას სამხრეთით საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს, განსაკუთრებით შონის ტყის მიდამოებში. დანარჩენ ასპარეზზე ღამე მშვიდობიანად ჩაიარა.

მფრინავთა მოქმედება. ნანსში გერმანულმა საფრენებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს. დაჭრილ-დახოცილთა შესახებ ცნობა არ არის. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა.

**ჰავრი.** 10 ოქტომბერი. ბელგიის ოფიციალი. დიქსმიუდეს მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა სტეენსტრატესთან-ხელის ყუმბარებით.

**ლონდონი.** 10 ოქტომბერი. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. ღამის განმავლობაში გერმანელები ლეზარ-მედეკურის ხაზის ჩვენ პოზიციებს მკაცრად უშენდნენ. ლებრევპრთან ჩვენ დავიპყრეთ და გავამაგრეთ ის ორმოები, რომელიც მტრის 2 ნაღმის აფეთქებით ამოითხარა გუშინ.

**ლონდონი.** 10 ოქტომბერი. ბრიტანიის საღამოს ოფიციალი. გუშინ ჩვენს მარჯვენა ფრთაზე ანკრის სამხრეთით ჩვენი ხაზი მედეკურ-ლებევპის აღმოსავლეთით გავწიეთ და მტერს 1000 იარდის სიგძის სანგრები წავართვით. ლეზარის ახლოს გერმანელები ჩვენს პოზიციებს მედგრად უშენდნენ. გრონიკურის სამხრეთით მტერმა შეჯგუფებული ჯარი აამოქმედა ჩვენს წინააღმდეგ. ზარბაზნების სროლით იერიშები შევაჩერეთ. რედენტომსა და შვაბენის შუა მომხდარ ბრძოლაში ჩვენ კიდევ დავატყვევეთ 66 კაცი. გომკურის მიდამოებში ორ ალაგას ჩვენ სანგრებში შემოჭრას ეცადნენ; ერთ ალაგას დიდად დავაზარალეთ მტერი და განვდევნეთ, ხოლო მეორე ალაგას ჩვენს წინ წაწეულ თხრილებში შემოიჭრა. მფრინავთა მოქმედება. მოწინააღმდეგის ჯარის ზურგს უკან ჩვენმა მფრინავებმა ორ სადგურში ჩამოყარეს ჩვენ მტრის 7 საფრენი ძირს ჩამოვაგდეთ, ხოლო მრავალი ვაიძულეთ დაბლა დაშვებულიყო. 8 ჩვენი საფრენი დაზიანების შემდეგ უკან არ დაბრუნებულა.

**იტალიის ასპარეზი.**

**რომი.** 10 ოქტომბერი. იტალიის ოფიციალი. პლავასთან, ქვედა იზონცოზე, გორიცის აღმოსავლეთით და კარსოზე დობერდოს მიდამოებში ავსტრიელთა არტილერია მოქმედებდა. ასპარეზის ზოგიერთ ნაწილში ჩვენი არტილერია მოწინააღმდეგის მუშებსა და ურმებს უშენდა. ორივე მხრით სწარმოებდა ჰაერში დაზვერვა, ხოლო ვჴრიგიდის ველზე ჰაერში ბრძოლა მოხდა, მტრის „ალბატროსი" ვაიძულეთ დაბლა დაშვებულიყო. კარსოზე ჩვენმა მზვერავებმა წინ წაიწიეს და რამოდენიმე საომარი მასალა ხელთ იგდეს.

**რუმინიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 10 ოქტომბერი უმაღ. მთავარ. შტაბისაგან. ჩრდილო აღმოსავლეთის ბრძოლის პირზე ტროტუშის ველზე მტერმა მოქმედება შესწყვიტა. მდ. ბუზედან ბრანა-კივაოლუნამდე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. ორშოვის მიდამოებში მოწინააღმდეგის შეტევა სროლით მოვიგერიეთ. დობრუჯაში ბულგარელთა ზედმიწოლით ჩვენი და რუმინიის ჯარი თან უკან იხევს კონსტანცსა და მეჯიდიეს ჩრდილოეთით მდებარე სიმაღლეებისაკენ და თან მტრის წინსვლას აჩერებს. ეს ორივე ადგილი მოწინააღმდეგემ დაიპყრო.

**მაკედონიის ასპარეზი.**

**ლონდონი.** 10 ოქტომბერი. ინგლისის ოფიციალი სოლუნიდან. სტრუმაზე წვიმა სამხედრო მოქმედებას ხელს უშლის. ფრანგ მზვერავების რაზმი ბულგარელებს სანგარს თავს დაესხა, რამდენიმე ტყვე წამოიყვანა და უკან დაბრუნდა. დოირანზე ღამე მტრის სანგარზე მარჯვედ თავდასხმა მოვახდინეთ.

**ინგლისზე ჰაეროპლანების თავდასხმა.**

**ლონდონი.** 10 ოქტომბერი. დილის 10 საათზე გერმანულმა ჰაეროპლანმა მარპეტომზე გადაიფრინა ღ3 ყუმბარა ჩამოაგდო მსუბუქად დაზიანდა ერთი სასტუმრო, დაჭრილია ერთი კაცი და ერთი ქალი. ინგლისის საფრენებმა მტრის საფრენი აღმოსავლეთისაკენ განდევნეს.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

გაზ. „რეჩის სიტყვით: გენ. სარაილმა დაიწყო, შეტევა რადგანაც საბერძნეთის ჯარის გერმანელების მხარეზე გადასვლისა აღარ ეშინიან; საბერძნეთის ჯარი ორად გაიყო და მეფე კონსტანტინეს ერთგული ჯარი საფრთხეს აღარ წარმოადგენსო.

მეფე კონსტანტინეს განუცხადებია მოკავშირეთა წარმომადგენლებისათვის: არავითარი შეთქმულება მოკავშირეების წინააღმდეგ საბერძნეთში არ არსებობს და, თუ საჭირო იქნება, ქ. ლარისადან ჯარს გამოვიყვანო.

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

**კავკასიის ასპარეზი.** ოზვანთან რუსებმა ქურთების ბრბო გაჰფანტეს.

**დასავლეთის ასპარეზი.** სომმის ჩრდილოეთით მოქცეულ შივპრთან ფრანგებმა წინ წაიწიეს. შონის ტყესთან და ბელგეთის ჯარის ბრძოლის პირზე საარტილერიო ბრძოლაა. გერმანელები ინგლისელთა ლეზარ-გედეკურის პოზიციებს მედგრად უშენდნენ; მიუხედავად ამისა გედეკურ-ლებევჰის ხაზზე წინ წაიწიეს. გრანიკურის სამხრეთით ინგლისელებმა გერმანელთა იერიშები მოიგერიეს. გომკურთან გერმანელებმა ინგლისელების რამდენიმე წინწაწეული სანგარი აიღეს. ჰაერში ხშირად ხდებოდა ბრძოლა: გერმანელებმა 7 საფრენი დაჰკარგეს, ხოლო ინგლისელებმა 8.

**იტალიის ასპარეზი.** ბევრ ალაგას იტალიელები ავსტრიელების პოზიციებს ზარბაზნებს უშენდნენ. რამდენიმე ალაგას მზვერავებს შეტაკება მოუხდათ.

**რუმინიის ასპარეზი.** ტროტუშის ველზე ავსტრიელებმა იერიშები შესწყვიტეს. მდ. ბუზედან ბრანა-კივპოლუნომდე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. ავსტრიელების წინსვლა ორშოვოსთან რუსებმა შეაჩერეს. დობრუჯაში ბულგარელების ზედმიწოლით რუსებმა და რუმინელებმა მეჯიდი-კონსტანცის ხაზის ჩრდილოეთით დაიხიეს. მეჯიდი და კონსტანცა ბულგარელების ხელში გადავიდა.

ხმები ლამბროსის კაბინეტის გადაყენების შესახებ ჯერ არ გამართლებულა.

—

ათინაში მინისტრების თათბირზე მოუწვევიათ ქალაქის მცხოვრებთა წარმომადგენლები. მათთვის აუხსნიათ სახელმწიფოს აწინდელი მდგომარეობა და ურჩევიათ დემონსტრაციებს ერიდონ.

—

ინგლისური გაზეთები საბერძნეთზე იმ აზრისანი არიან, რომ მას ნება უნდა მისცენ ბოლოს და ბოლოს გამოსთქვას თავისი აზრი და ძალა არ დაატანონ მას.

—

ბერძენ „რეზერვისტებს“ დიდძალი იარაღი და ფული მიუღიათ გერმანეთიდან, ხოლო ვინც მათ იარაღი და ფული მიუტანათ უკან დაბრუნებისას კინაღამ ინგლისელებმა დახოცეს. ისინი ბერძენ ჟან დარმების შემწეობით გადარჩენილან.

—

ტყუილი გამომდგარა ის ხმები, ვითომც ამერიკის ელჩს ბერლინში ჯერარდს, ვილსონისთვის გადაეცეს ვილჰელმის წერილი, რომელშიაც გერმანეთის იმპერატორი სთხოვდა შტატების პრეზიდენტს რათა მას ზავზე ლაპარაკი ჩამოეგდო მოკავშირეებთან.

—

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუთხოვია ინგლისისათვის, რომ უკანასკნელმა აურკძალოს თავის სამხედრო გემებს ამერიკის სანაპიროების თვალიერება და მის ახლო მახლო სიარული.

—

სპარსეთში და ავღანისტანში გერმანელი პროპაგანდისტები მოქმედებას განაგრძობენ. ამ ბოლო დროს განსაკუთრებით სახელი გაითქვა ორმა ძმამ. ჰენრიხ და ვიჰლელმ პაშენმა. ესენი დიდ აგიტადა ციას ეწეოდნენ ჯერ ავღანისტანში და შემდეგ სამხრეთ სპარსეთში. ამ ზაფხულზე ეს ორივე ძმები დაიჭრეს: ერთი რუსებმა, მეორე ინგლისელებმა. მათ აღმოაჩნდათ ბევრი საინტერესო დოკუმენტი, რომელთაგან საყურადღებოა უფრო ერთი: პროფ. შრედერის წერილი გერმანიის საგარეო სამინისტროში გასაგზავნი. ამ წერილში შრედერი სწერს: უეჭველად დასავლეთი აზერბეიჯანი და სამხრეთი სპარსეთი ინდოეთის ოკეანემდე ოსმალეთს უნდა გადაეცეს, თუ სპარსეთი თავის ნებით არ შეუერთდა გერმანეთსა.

## სამხედრო მიმოხილვა.

გარდა რუმინეთის ასპარეზისა, ყველა ბრძოლის ველებიდან მხოლოდ კანტი კუნტი ბრძოლების შესახებ მოდის ცნობები და ამიტომ მთავარი ყურადღების საგანი კვლავინდე ბურად რუმინელთა

ამ ჟამად ცენტრალ სახელმწიფოების შეერთებულმა მთავარ-სარდალობამ რუმინეთის ასპარეზზე ბრძოლების სიმძიმე დობრუჯაში გადაიტანა; ჩრდილოეთისა და ჩრდილო აღმოსავლეთის ბრძოლის ხაზზე ავსტრიელები სრულიად შედგნენ. მთავარსარდლის შტაბი გვატყობინებს, ტროტუშის ველზე ავსტრიელებმა მოქმედება შესწყვიტეს, ხოლო ბუზე ბრანა კივპოლუნას ხაზზე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებსო.

ტრანსილვანიის საზღვრებზე ავსტრიელებმა უკანასკნელ 3—4 დღეში მხნეობას უკლეს და ბოლოს სრულიად შესწყვიტეს სამხედრო მოქმედება. სამაგიეროდ ბულგარელები ამოძრავდნენ დობრუჯაში და სწორედ მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ ავსტრიელებმა იერიშები შესწყვიტეს, ბულგარელებმა მედგარი და შეუწყვეტელი წინსვლით მეჯიდიე-კონსტანცას ხაზს მიაღწიეს და ეს ორი მნიშვნელოვანი პუნქტი დაიპყრეს.

ეხლა ბულგარელებმა უკვე დაიბრუნეს დობრუჯის ნაწილი, რომელიც „ბუქარესტის ხელშეკრულებით“ რუმინეთმა ბულგარეთს წაართვა.

ბულგარეთის პოლიტიკური თავმოყვარეობა დაკმაყოფილებულია.

მაგრამ ბულგარელების ამ წარმატებას იმდენი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც წმინდა სტრატეგიული და პირველ ყოვლისა ცენტრალ კოალიციის საერთო საქმისათვის.

ბულგარელების მიერ დობრუჯის ხელში ჩაგდება ეხლა, ცენტრალ სახელმწიფოების საერთო მიზანი იყო.

ტრანსილვანიის საზღვრებზე ავსტრიელების შეჩერება ბულგარელების დობრუჯაში ერთბაშთ წინწაწევას თან არის დაკავშირებული.

მთელი ვალახია „რუმინეთის დასავლეთა ნაწილი ისეა შეჭრილი ავსტრიისა და ბულგარელების მიწებს შუა, რომ მხოლოდ შედარებით ვიწრო ყელშია იგი შეერთებული მოლდავისთან.

როგორც შარშან გერმანია-ავსტრიას მიწებს შორის შეჭრილ პოლონეთს, ჩრდილოეთით ჰინდერბურგი უტევდა და მაკენზენი სდევდა სამხრეთით, ხან. კი მაკენზენი ფალანგის ფალანგაზე უხევდა რუსის ჯარს სამხრეთით და ჰინდერბურგი კი ჯარებს ახალ პოზიციებზე რაზმავდა, — ისევე ამოქმედებენ რუმინეთის წინააღმდეგ ცენტრალ კოალიციის ორი საუკეთესო მთავარ სარდალი: ფალკენჰაინი და მაკენზენი.

ამიტომ მოსალოდნელია, რომ ორიოდ დღეში ბულგარელები თვით შეჩერდებიან დობრუჯაში და მაშინ ჯერი ისევ ფალკენჰაინის ჯარზე მიდგება.

შვერელი.

## ეროვნული მთლიანობისათვის.

ცნობილმა მეცნიერმა მ. შტირნერმა, ფრიად საგულისხმო ისტორიული ცნება შესძინა კაცობრიობას. პირველად იმან სთქვა რომ „მეოცე საუკუნე „იდეოკრატიის საუკუნეა“-ო. და მართლაც; იდეათა თუ პრინციპთა ყოვლად შემძლებლობის გავლენა არც ერთ წინა ეპოქებს არ განუცდია, ისე ძლიერად“ როგორც ეს დღეს არის.

იდეა და პრინციპი განაგებს თანამედროვე კაცობრიობის გონებრივ ცხოვრებას, რამაც უკანასკნელ ხანებში სარწმუნოებრივი ხასიათი მიიღო ეს გარემოება კი კარგს ვერაფერს გვიქადის: რა-კი იდეა სარწმუნოებად გადაიქცევა ხოლმე იგი კრიტიკას გაურბის და აზროვნებას სისაღე ეკარგება. ეს მოვლენა მეოცე საუკუნის ისტორიის უმთავრეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

საკაცობრიო გონებრივი მიდრეკილება ქართულმა სულმაც შეითვისა ჩვენც ღრმად ვეზიარეთ „იდეოკრატიულ“ სულიერ განწყობილებას, მაგრამ ამ შემთხვევაში მიმძაძველობის ბუნებრივობას ვუღალატეთ.

იქ, სადაც წარმოიშვა და განვითარდა აზროვნების უკიდურესობა, ეს უკიდურესობა შესაფერისმა პირობებმა ასაზრდოვეს. ჩვენში კი საკმაო ნიადაგი არ იყო ჩვენის ყოფნისათვის უცხო მოძღვრებათა გადმოსანერგავად. მიუხედავათ ამისა იგი არამც თუ გადმონერგეს საქართველოში, არამედ ააყვავილეს კიდეც. მაგრამ, როგორც ვიცით, მცენარის ჯანმრთელობისათვის, მარტო აყვავილება არ კმარა. საჭიროა ნაყოფიც. და აი სწორედ აქ გამომჟღავნდა საქართველოში შემოტანილ უცხო იდეათა უნიადაგობა.

ნაყოფიერება მშობიარობის საბედისწერო ხანაა, როგორც მცენარეთა ისე იდეათა ზრდა-განვითარებაში. და რამდენად ესა თუ ის იდეა სისხლი სისხლთაგანია და ხორცი ხორცთაგანი ერის შემომქმედი სულისა, რამდენადაც ის განუკვეთელი ნაწილია ეროვნული სხეულის, იმდენად ხანგრძლივია და ნაყოფიერი იდეათა ძალა თავის ცხოველ-მყოფელი ქმნადობაში.

ქართველ ინტელიგენტთა უკიდურესი (თუნდა სოციალისტური) აზროვნება კი, უცხოა არამც თუ ჩვენი ეროვნული ბუნებისათვის არამედ იგი დამშლელი და დამრღვეველია ისედაც გაბზარულ ეროვნულ მთლიანობისა

თუ ოდესმე ქართველთ ერის ცალ-ცალკე სამთავროებათ განთვისებაში მთავარ როლს ფეოდალური წეს-წყობილება ასრულებოდა, დღეს ამ მეტად მძიმე და მავნებელ როლს უკიდურესად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენცია კისრულობს.

აბა რომელი ისტორიული სამთავრო შეედრება დღეს ჩვენში მომქმედ სხვადასხვა ჯგუფებს? ან რომელ ისტორიული სამთავროთა შორის იყო უფრო მეტი შუღლი და წინააღმდეგობა, რომელიც გამეფებულა ამ ჯგუფთა შორის? არ არის არც ერთი საყურადღებო მხარე ჩვენი ცხოვრების, სადაც შეიძლებოდეს მათი შეთანხმება?

არჩ. ჯორჯაძემ მხოლოდ სამი რამ დაასახელა საერთო მოქმედების ნიადაგად და სამივეზე ცივი უარით უპასუხეს. ეს სამი რამეა: ა) ქართული ენის დაცვა; ბ) ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და გ) ქართველთა მიწა-წყლის ქართველთავე ხელში შერჩენა. ამ სამის საგნის გარშემო მაინც შეიძლებოდა არჩილის აზრით ორი მოქიშპე პარტიის გაერთიანებული თანამშრომლობა, მაგრამ დასელებმა ეს მოსაზრება არ მიიღეს: ბურჟუაზიული ჯამბაზობა დაინახეს ეროვნული ცხოვრების სამივე ამ ძირითად ფაქტორში.

ეხლანდელმა ფედერალისტებმაც უმტყუნეს არჩილის მიერ დასახელებულ საერთო მოქმედების ერთ-ერთ მუხლის, სახელდობრ ქართული ვაჭრობა-მრეწველობის დაცვის საქმეს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ფედერალისტები ვერც დასელებს ურიგდებიან ასე რომ ამ მხრივ პარტიული მწვალებლობა უფრო გაღრმავდა.

სომეხ-ქართველთა საკითხების, შესახებაც. — რომელი საკითხებიც თანდათან ღრმავდება, — არც ერთი ჯგუფი არაა თანაბარი წარმოდგენისა. თითოეულს თავ-თავისი საზომი აქვს და ვინც ამ საზომს არ ემოჩილება, იგი, მათის აზრით, ყველაფერი არის, გარდა ადამიანისა.

სხვაც ბევრი რამეა ამ ჯგუფთა შორის უთანხმოების მიზეზი. ქართულ საკითხში არც ერთს საბედისწერო საკითხში თანამშრომლობა არა სჩანს ავიღოთ თუნდა სახელმწიფოებრივი საკითხი.

ქართველი ერის უფლებისათვის ბრძოლა ძვირფასი უნდა იყოს თითოეული ქართველისათვის, რადგან ერის უფლების ღირებულება ყოველივეს აღემატება, მაგრამ სწორედ ეს მთავარი საკითხი შეიქნა მთავარი მიზეზი პარტიული ორომ-ტრიალისა. აღარსად სჩანს ის წერტილი სადაც შეეძლოს ერის შემადგენელ ჯგუფს ფეხის მომაგრება საერთო მოქმედებისათვის. საქართველოსათვის უნიადაგო სოციალისტურმა აზროვნებამ დაშალა ერის მთლიანობა დღეს ჩვენ ვხატავთ დასურს, ფედერალისტურსა და ნაციონალ დემოკრატიულ ქართველებს, ხოლო ვერა ვხედავთ მხოლოდ ერთის მიზნით--მთელი ერის უფლებისთვის მებრძოლ საქართველოს.

მაგრამ დრონი იცვალენ. უკანასკნელს ხანებში აშკარად ინასკვება ტრაგიზმი უნიადაგოთა. ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა უკვე შეიგნო, რომ მხოლოდ ზე-პარტიულ საქართველოშია ხსნა. ახალი მიმართულება არ დგას კლასიურ ნიადაგზე. მაშასადამე ძირითადი მიზეზი ჯგუფობრივი განხეთქილებისა აღარ არსებობს. ხანგრძლივი და ენერგიული მუშაობაა საჭირო, რომ „იდეოკრატიულმა“ საქართველომ თავის უფლებრივ ძიებაში წონასწორობა დაამყაროს. ერი მეტად რთული სოციალური შენობაა და მისი შემადგენელი ვერც ერთი ნაწილი ვერასოდეს ვერ აღადგენს ამ დაზიანებულ შენობას. უთუოდ უნდა მოხდეს ნაწილთა ორგანიული შესისხლხორცება, თორემ სხვისკენ სამათხოვროთ გაშვერილი ჩვენი ხელი მუდამ ცარიელი დარჩება.

ვენე

## ქართული პრესა.

თბილისის გუბ. ქართველ თავადაზნაურთა თეატრის შენობის დაწვამ თბილისში, დიდათ შეაფერხა ქართული თეატრის საქმე. იგი იყო ქართული თეატრის აკვანი, იქ გაიფურჩქნა ნიჭი ჩვენ დიდ მსახიობთა ვასო აბაშიძისა და ლადო მესხიშვილისა და სხვათა, იგი იყო პირველი სკოლა, საიდანაც გამოვიდენ სახალხო სცენის მუშაკნი, რომელთაც ბაქო, ქუთაის ბათუმ, ფოთ ჭიათურა ოზურგეთ და სხვა ქალაქ დაბებში და თვით თბილისის ყველა უბნებიც კი გააჩაღეს სახალხო წარმოდგენებით. თუ რა სამსახური გაუწია ქართულმა თეატრმა ქართველ საზოგადოების თვითცნობიერებისა გამოფხიზლებისა და თვით მოქმედების საქმეს, ამას ნათლათ უნდა ხედავდეს ყველა. ქართული თეატრი — ეს ერთად ოაზისი იყო ჩვენი ცხოვრების გაჩრიალებულ უდაბნოში, სადაც გაისმოდა ქართული სიტყვა, ვარჯიშობდა ქართული აზრი და ვითარდებოდა ქართველის [illegible] ტაძარი, ეს ფუძე ჩვენი ეროვნული კულტურის აღორძინების, [illegible] ხდა. ამ გარემოებას გულისტკივილით აღნიშნავს გაზ. „საქართველო“, რომელიც სხვათა შორის ამბობს:

მოსალოდნელი მოხდა: ქართული თეატრი ფაქტიურად გარდაიცვალა. იმ საზოგადო გულგრილობას, რასაც ვხედავთ ქართულ დრამატიულ საზოგადოების მხრივ, დიახაც, რომ ასეთი მწვავე ბოლო უნდა მოჰყოლოდა. რაც თეატრის შენობა დაიწვა, საზოგადოება იგი ნამდვილ მესაფლავეთა როლს კისრულობს, დღითი დღე ინდიფერენტიზმი, საზოგადო გულგრილობა იმ დროს, როდესაც მდგმარეობა მოითხოვდა, მეტს სიმხნევს მეტ გამჭრიახობას, მათ გულზე ხელის დაკრეფის მეტი არა გააკეთეს რა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მელპომენეს მდგომარეობა ნივთიერ მხრით ასე სხლშეწყობილი არა ყოფილა, მესაფლავენი თითქოს განგებ ხელის კვრით უფსკრულისკენ მიაქანებდნენ მის ეტლს და აჰა, კიდეც თვალით ვუმზერთ საბედისწერო მის დამსხვრევას.

. . . . . . . . . . . . . . . .

მე აღარას გიტყვი იმ შედეგებზე, რაც მოჰყვა მათს უმოქმედებას. ცხადია ქართველი მსახიობი თავის ნიჭს უნებურად მეცირკეობაზე გადაახურდავებდა, თუ კი გასაქანს გზას ვერ იპოვნიდა. და აგი კიდეც ასე მოხდა: თვით ისინიც კი, ვისაც ახალგაზდობას და ოდნავი ნიჭი ხელს უწყობდა — ამ ხუთიოდე წლის წინ, გაფურჩქვნის ნაცვლად დაჭკნენ... მათი გამოსვლა აღარც სასურველია, არც თუ მოსასმენ-დასანახი! სიტყვით, ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ ჩინებულად შეასრულა თავის როლი: მან ჩვენი თეატრი დაასაფლავა. დაგვრჩენია იმედად მხოლოდ ის, რომ თვით ეს საზოგადოებაც მალე გარდაიცვალოს: რომი უნდა მოკვდეს, რომ რომმა გაიმარჯვოს! ამბობდნენ დაცემის დროს რომაელები. ჩვენი თეატრი დასამარდა. დრამატიული საზოგადოებაც უნდა მოკვდეს, რომ თეატრმა და ახალგზრდობამ გაიმარჯვოს.

# ახალი ამბავი.

როგორც მკითხველს მოეხსენება, თავად აზნაურთა დეპუტატთა საკრებულომ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა — გადააკეთონ ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიის პარალელური კლასები საკომერციო სასწავლებლად. ეს წინადადება ამავე გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ განიხილა და, როგორც დამნადვილებით გავიგეთ, უმრავლესობამ თავისი თანაგრძნობა გამოუცხადა ამ ახალ საქმეს.

აქვე გამოითქვა საერთო სურვილი რომ მომავალ საკომერციო სასწავლებლის ყველა კლასებში სწავლება ქართულად იყოს.

ქუთ. სახ. უნ-ტის თავმჯდომარემ ბ. ალ. გარსევანიშვილმა თანახმად გამგეობის გარდაწყვეტილებისა საღამოს კურსების მსმენელებს გამოუცხადა შემდეგი: საჭიროა და მეტად სასურველი დაარსდეს მსმენელთა შორის სცენის მოყვარეთა ჯგუფი, რომელიც დრო გამოშვებით გამართავს იაფ ფასიან წარმოდგენებს. ეს წინადადება საღამოს კურსების მსმენელებმა აღტაცებით მიიღეს..

სცენის მოყვარეთა ამ წრის ხელმძღვანელობა იკისრა ბ. მგალობლიშვილმა, უმაღლეს სწავლა დასრულებულმა და თეატრის საქმის კარგათ მცოდნემ.

✦ ქუთაისს პირველ დაწყებითი უმაღლეს-პირველ სასწავლებელთან არსებულ პედაგოგიურ კურსებზე, მიმდინარე სამოსწავლო წელს, მიღებულ იქმნებიან ქალებიც. მიიღება არანაკლებ ოთხი კლასიანებისა. კურს დამთავრებულებს მიეცემათ მოწმობა სახალხო სკოლების მასწავლებლობისა. კურსები არის ორ წლიანი. მეორე კურსზე მსმენელებს მიეცემათ სტიპენდია. მსმენელებმა თხოვნები და საჭირო საბუთები უნდა წარუდგინონ ინსპექტორს, აღნიშნულ სასწავლებლის კანცელარიაში.

✦ ცნობილი რუსის მწერალი კუპრინი, თბილისიდან ბაქოს გაემგზავრა, სადაც წაიკითხავს რამოდენიმე ლექციას, იქიდან მწერალი როსტოვს აპირებს გამგზავრებას.

✦ ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია, ყურძნით მოვაჭრეებს სავაჭროთ მიუჩინოს ერთი ალაგი ქალაქ გარეთ, ან ბალახვანის მოედანზე ან ღულაძის მინდორზე. ეს გადაწყვეტილება გამოწვეულია მით, რომ ყურძნით მოვაჭრეები ბაზარს ძლიერ აბინძურებენ, რაიც ნიადაგს უმზადებს გადამდებ სენის გავრცელებას. ყურძნით მოვაჭრეთა აზრით ქალ. გამგეობის დადგენილება უხერხულია, როგორც მათთვის ისე მცხოვრებთათვის, რადგანაც ყურძნის აწონა სწარმოებს ქალაქის სასწორზე და აღნიშნული ადგილები კი ძლიერ დაშორებულია ბაზარზე.

✦ დავ. კლდიაშვილის სახელობის საფიხჩის სამკითხველოში უწესრიგობაა გამეფებული, რის გამოც შეუძლებელია, იქ რაიმეს წაკითხვა., სამკითხველოში ბუდუნი და ხმაურობაა. აღსანიშნავია, რომ ქ ნი მეთვალყურე არ აქცევს ამას ჯეროვან ყურადღებას.

✦ ქალაქის სანიტარულმა კომისიამ გუშინ წინ ოქმი შეუდგინა უსუფთაობისთვის რესტორან „იალტის“ მოიჯარადრეს, აგრეთვე დაათვალიერეს ორპირის, ბაღის, კარეტნიკის ქუჩები და დაჰკეტეს სხვადასხვა სავაჭროები, სადაც სიბინძურე აღმოაჩინეს.

ქიმიურ ლაბორატორიის გამგემ ოქმი შეუდგინა საკანდიტეროების პატრონებს: გიორგაძესა და კუჭავას უვარგისი რძით ვაჭრობისათვის.

✦ ყურძნის ფასი გუშინ ბაზარზე ყურძენი შედარებით ცოტა შემოიტანეს გასაყიდად. ფუთი იყიდებოდა პირველი ხარისხის 5 მ. 50 კ. მეორე ხარისხის 4 მ. 50 კ. მესამე ხარისხის 4 მ.

✦ ხოლერა 11 და 12 ოქტომბრის ცნობით, ქალაქის გადამდებ სენიანთა ბარაკში გაგზავნეს შემდეგი ხოლერიანები: შალვა გაბუნია, ბალახვანის ქუჩიდან (სახლი ლალიაშვილისა). ფილიპე კაციტაძე თბილისის ქუჩიდან (სახლი ოგანეზოვისა) მარიამ ლორთქიფანიძე, ტყიბულიდან იყო ჩამოსული ანნა გძელიშვილი წევს თავის ბინაზე. მოკვდა ილარიონ ხევცურიანი.

**ს ო ფ ლ ა დ.**

— სოფელ ქვალონში (ზუგდიდის მაზრა) ყაჩაღებმა მოჰკლეს სოფლის მამასახლისი ალექსანდრე კუჭავა. ყაჩაღებიდან პოლიციელებმა ერთი მოჰკლეს, ხოლო დანარჩენებმა თავს უშველეს.

— სოფელ ცხემში. (სენაკის მაზრა) ბოროტ გამზრახველებმა სახლი გაუტეხეს და წაართვეს ბ. რატიანს 355 მანეთი ფული.

— ქართლში ზოგიერთი სოფლის მამასახლისები პასუხის გებაში მიუციათ თეთრ ბილეთიანების გადამალვის და ყალბი მოწმობების შედგენის გამო.

— სურამში. მემამულეებმა, რომელნიც მიწებს უთმობენ სურამში სულით ავათ მყოფთ საავათმყოფოს ასაგებათ თავის მიწების გეგმები წარუდგინეს წითელი ჯვრის მთავარ რწმუნებულს ბ. გოლუბოვს, და სატეხნიკო ნაწილის უფროსს ბ. პერცოვს.

— თელავში. პურის ნაკლებობაა, თეთრი პური სულ აღარ იშოვება.

— სოფელ ფარცხა-ნაყანევში. (ქუთაისის მაზრა) ზოსიმე მამაგეიშვილი და დავით ჩეჩელაშვილი თავს დაესხენ გიორგი კიკვაძეს, წაართვეს 170 მანეთი და დასჭრეს მარცხენა ფეხში. ბოროტ მოქმედნი დაპატიმრებულ იქნენ.

— სოფელ დიდ ჯიხაიშში. სამმა ბოროტგამზრახველებმა, პლატონ შენგელიას და გიორგი ჯოჯუას წაართვეს 770 მანეთი და მიიმალენ.

— სოფელ ამაღლებაში აკაკი კანდელაკმა დანით პირის სახეზე დასჭრა სოფლის მამასახლისი მალხაზ ძიგრაშვილი.

— სოფელ დანირში. (ხონი) იასონ და ბართლომე ხურციძეებმა, გეორგი ეძგვერაძეს და პახულო ჯიქიძეს მოჰპარეს ხარები ამისგამო დაიჭირეს ბართლომე ხურციძე, რომელსაც აღმოუჩინეს მოპარული ხარი.

— სოფელ კონტუათში. (ხონი) დავით რატიანს მოჰპარეს ორი ცხენი. ეჭვით დააპატიმრეს სილოვან და ლარვენტი რატიანი რომლებიც გამოტყდენ ქურდობაში.

— შუამდგომლობა. სოფელ სარვეთის (შორაპნის მაზრა) მცხოვრები დავით ახრახაძე, ს. აჭარის—პეტრე ნიორაძე და ს. ლაშეს—პავლე გელაშვილი შუამდგომლობენ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ მათ ნება დართონ გახსნან მომხმარებელი საზოგადოება სად. ძირულაში სახელწოდებით „საშველება“.

— კნიაჟ. პარასკევა აბაშიძეს, ნება დართეს გახსნას პროფესიონალური ჭრაკერვის შკოლა, სად. ბელაგორში.

— ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების. ზესტაფონის განყოფილება, სთხოვს ამავე საზოგადოების მთავარ გამგეობას, რომ დაუყონებლივ დახმარება აღმოუჩინონ ომისაგან დაზარალებულ სოფელ ლიჩისა და ქორეთის მცხოვრებთა 144 ოჯახს.

### თფილისი

გეოგრაფიული საზოგადოება. 10 ამა თვეს გეოგრაფიულ საზოგადოების საგანგებო კომისიას კრება ჰქონდა, რომელსაც დაესწრენ ბ-ნნი სნარსკი, შიმანსკი, კუჩინსკი, ანოხინი, გადომსკი და ზავალიშანი. კრებაზე შემუშავებულ იქმნა საერთო გეგმა ახლად გასაყვან რკინის გზებისა. კომისიამ საჭიროდ სცნო პირველ ხანად, 5 წლის განმავლობაში, გაყვანილ იქმნას შემდეგ მთავარი გზები: 1) კავკასიონის უღელტეხილზე, 2) ქერჩიტუაპსე, 3) ბათომი-ყარსი ბულდაშენი, ანუ არეზი, 5) ბორჯომი-ყარსი ოლთა, 5) შუა კავკასიის (წნორის წყლიდან ასტარამდე), 6) ბათომ-ტრაპიზონი, 7) ალიათი-ჯულფა და სხვ. ტოტები მთავარი ლიანდაგებისა: 1) ჭიათურისა, 2) არეზკულპი, 3) ტყვაჩირისა, 4) სამტრედია--ხონი, 5) ოზურგეთ ნატანები, 6) გროზნა—,,სტარიე პრომისლა“ და სხ.

ქალაქთა კავშირის ბაქტერიოლოგიური რაზმი ბაქოდან თბილისში გადმოდის.

### ქ. ხარკოვი.

— 6 ოქტომბერს გაიწვიეს ჯარში ყველა ის სტუდენტები რომელნიც წელს მიიღეს პირველ კურსზე.

— რამდენიმე თვის წინათ აქ დაატყვევეს სტუდენტი სეფე ხამასურიძე. ის ადმინისტრატიულ წესით ეხლა გადაასახლეს სამი წლით ირკუსტსკში.

— ავვისტოს დამლევს დაატუსაღეს აქ ძმები სტუდენტები დევდარიანები. ერთი მათგანი გადასახლეს.

15 ოქტომბერს გაიყვანებენ ჯარში ყველა თეთრ ბილეთიანებს.

— მრავალმა ქარხანამ შეწყვიტა მუშაობა მუშა ხელის უქონლობის გამო.

ინ ჟანი.

* *
*

რის ვარდნარში, ვარდებ შორის.
ვარდის სუნით შარბათს ვსვამდი,
მოდიოდი თავხედურად
და სიტყვებზედ შხამს მისხამდი.

რის სუროში ზღაპრულ დაფვით
სიზმრის გმირებს გავყიოდი,
მოიბამდი გველის ენას
და გულს წამლად მესობოდი.

რის ლერწამთა რხევის ნანით
მტრედის ძილში ვეხვეოდი,
მძიმე ლოდზე უმძიმესად
ჟინით გულზე მაწვებოდი.

ისე მზეს ვერ შევხედავდი,
რომ შენ მკერდზე არ გეგბინა,
არ ჩაგეხშო სულის მღერა,
არ დაგემხო მისი ბინა.

მაგრამ ახლა, მე გავჯობე
და შენ აღარ გემონები;
ჭაობიდან ამოვფრინდი,
მწვერვალებზე ვიმეოფები!

რაჟდ. გოგოხია.

## პატარპატარა წერილები.

### ინგლისის მუშათა კლასის და ომის პოლიტიკა.

ევროპაში, რაკი იცოდენ, რომ „დაკვრა“ არ გამოადგებოდათ და არ გაუვიდათ დიპლომატიურ გზას დაადგენ და მუშათა წარმომადგენლებთან მოლაპარაკება გამართეს იქ მთავრობის დიპლომატიამ მართლაც გასჭრა და ომის პოლიტიკას მუშათა კლასის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს.

გერმანიაში სოციალდემოკრატიის უმრავლესობა ხოლო საფრანგეთში შერთებული სოციალისტები თავთავიანთ მეომარ მთავრობებს გვერდში ამოუდგენ, ვინაიდგან. აქ მუშათა კლასს არჩევანი დაუყენეს: ან ომში ჩარევა და გამარჯვება, რომ ნივთიერი ცხოვრება ახლო მომავალში გაიუმჯობესონ, ან ომის პოლიტიკის წინაამდეგ წასვლა;

ერთი სიტყვით ახლო მომავალში (ომის გათავების შემდეგ ან მუშების ნივთიერი ცხოვრების დიდათ გაუმჯობესობა

უბრალოდ რომა ვთქვათ ეს იმას ნიშნავს, რომ ვისმე წინადადება მისცე; ან დღევანდელი ქათამი ირჩიე ან „ხვალინდელი კვერცხიო“. და როცა კითხვა ასე დგება ჩვეულებრივათ „დღევანდელ ქათამს„ ირჩევენ ხოლმე მთელი კლასიც ასე იქცევა: იგი სადღეისო ინტერეს ყოველთვის წინ აყენებს და „საბოლოვო მიზნის განხორციელება“ არც ასე ნათლად აქვს წარმოდგენილი რომ მისთვის დღეს თავი გასწიროს. ამიტომაც არის რომ მუშათა კლასის პოლიტიკაში ორი პრინციპი ერთ მეორეს ებრძვის ტრედიუნიონიზმი ანუ „ეკონომიზმი“ „პოლიტიციზმს“ ანუ სოციალ რევოლიუციონიზმს ეწინაღმდეგება და ზემო მოხსენებულ ანდაზის თანახმად იმარჯვებს კიდეც.

ამ გამარჯვების ცხად მაგალითს ინგლისის მუშათა კლასის დღევანდელი პოლიტიკის ვითარება წარმოგვიდგენს.

ინგლისის მუშათა კლასში, როგორც ნივთიერათ, დაწინაურებულში სხვა ქვეყნის მუშებთან შედარებით, „ტრედიუნიონიზმა“ თავიდანვე ფეხი მოიდგა და პოლიტიციზმს საშუალება არ მისცა რომ გამაგრებულ განვითარებულიყო. არც ერთი ქვეყნის მუშებს ისე მრავალ რიცხოვანი და მაგარი პროფესიონალური კავშირები არა აქვს, როგორც ინგლისისას და იმავე დროს არსად მუშათა პოლიტიკური პარტია ისე სუსტი არაა, როგორც ეს ინგლისში.

ამ გარემოებამ დღევანდელ ომის დროს თავისი ნაყოფი გამოიღო. არც ერთ მეომარ სახელმწიფოში ისე არ ელოლიავებიან, ისე არ იახლოვებენ და აკავშირებენ, როგორც ამას ინგლისის მთავრობა ჩადის. ამას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ინგლისში სამხედრო ბეგარა არ იყო შემოღებული და მისი ახლა დაკანონება მუშათა კლასთან შეთანხმებაზე იყო დამოკიდებული მხოლოდ ტრედიუნიონისტების მიმხრობით შეიძლებოდა მისი გატარება და ეს მართლაც ასე მოხდა.

ინგლისის მთავრობა დღეს ბევრნაირ ზომებს ხმარობს, მუშებთან კავშირი განამტკიცოს და ომის პოლიტიკა მათი დახმარებით ბოლომდი აწარმოვოს. ერთი სიტყვით, ის ცდილობს და ახერხებს კიდეც, რომ ტრედიუნიონების საშუალებით მუშათა კლასი „კუდში გამოიბას“.

ამა წინათ დაარსდა კიდეც მუშათა ნაციონალური ლიგა. რომ მუშებში სამხედრო აგიტაცია გაემართათ.

ახლა გაზეთებიდან ვტყობილობთ, რომ ამ ლიგას მუშათა ახალი პოლიტიკური პარტიის დაარსება მოუნდომებია. ამ მიზნით მან ქ. ბირმინგამში სახალხო მიტინგი მოაწყო, რომელზედაც კრების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ინგლისის მუშათა კლასი ახალი პარტიის დაარსებას საჭიროებს, ისეთი პარტიისას, რომელიც თავის ინტერნაციონალიზმს ნაციონალიზმზე დაამყარებს და სამშობლოს დაცვის აზრს არ შეუშინდება.

ამ პარტიის მიზანი კიდევ უფრო აშკარად გამოთქვა კრების ერთმა წევრთაგანმა, სახელდობრ უოლშმა, რომელსაც 37 წლიწადი უმუშავნია ტრედიუნიონებში. მან სთქვა: „პარტია პირველ რიგზე ჩვენი ქვეყნის საერთო ინტერესების დაცვას დააყენებდა, ჩვენი ქვეყნის ყველა მცხოვრებთა კეთილ დღეობას მიზნათ დაისახავდა“.

უოლშის აზრით ინგლისის ნაცია მთელ ქვეყანაზე უკეთეს დემოკრატიათ უნდა ჩაითვალოს, ამიტომაც ინგლისის მუშათა კლასი მთელი ამ ნაციის კეთილ დღეობაზე უნდა ზრუნავდეს და არა მარტო თავის კლასზეო. ასეთივე აზრი გამოთქვა მიტინგზე თურმე ინგლისის მუშათა მოძრაობის მეორე შეთაურმაც, სედდონმა. ასეთმა აგიტაციამ და ამგვარმა ზომებმა, მართალია ახალი პარტია ჯერ კიდევ ვერ დაარსეს, მაგრამ თავისი ნაყოფი კი საკმაოდ გამოიღეს.

ამ დღეებში გაზეთებმა გვაცნობეს, რომ ინგლისის უმაღლეს მთავრობასთან მუშების სათათბირო დაარსდა. ინგლისის მთავარ მინისტრის, ასკვიტის მრჩეველმა მუშათა საქმეში, არტურ გენდერსონმა სამინისტროში მუშათა წარმომადგენლები მიიწვია და მათგან მუშათა სათათბირო შექმნა. მიწვეულია სულ ტრედიუნიონების 15 გამოჩენილი ლიდერი, რომელთაგან ყველაზე ცნობილნი არიან: გორლინგი, სმილი, ტომაგოდუი და უორდლი.

ინგლისის მთავრობასაც ეს უნდოდა. დიდი ხანია ლოიდ ჯორჯმა აღიარა რომ „ომის ბოლომდე მიყვანა“ მხოლოდ მუშებთან კეთილ განწყობილების დაჭერით და მათი „პატრიოტული“ გრძნობის გაღვივებით—გაძლიერებით შეიძლება.

კარგა ხანია ინგლისის ხსენებული სამხედრო მინისტრი და ინგლისის მთელი მთავრობა ომის პოლიტიკას მუშათა კლასზე ამყარებს და მხოლოდ მისი საშუალებით აწარმოებს; და ამას ტრედიუნიონების დახმარებით კიდეც ახერხებს.

აქედან „ომის ბოლომდის“ ლოზუნგის მთავარი ყავარჯენი ინგლისში ტრედიუნიონიზმია, იგი ზავისა და ინტერ-ნაციონალიზმის პრინციპის პირდაპირ მტრათ გადაიქცა.

დელი.

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

I.

ამ დღეებში ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ გამოსცა დიდად სასარგებლო წიგნაკი: „**ხოლერა**, მოკლე დარიგება ექიმ გაბ. გოკიელისა“. წიგნაკი მდაბიურის ენით არის დაწერილი და ბევრ საჭირო ცნობებსაც იძლევა იმ საზარელ სენის შესახებ, რომელიც ამ ჟამად ქუთაისშიაც მძვინვარებს და რომელიც ნაყოფია ბინძურისა და გაჭირვებულის ცხოვრებისა.

დარიგებანი ექ. გაბო გოკიელისა მისწრებაა ღარიბი ხალხისთვის.

ფასი წიგნაკისა ერთი შაურია და ამიტომ მისი შეძენა არავის გაუჭირდება.

მადლობის ღირსია ექ. გაბ. გოკიელი, რომ მთელი შემოსავალი, რაც კი ამ წიგნაკის გაყიდვით შემოვა წერაკითხვის საზოგადოებისათვის შეუწირავს.

კარგი იქნება სხვებმაც მიბაძონ ხოლმე ბ-ნ გაბოს მაგალითს.

ენის მხრივ აღსანიშნავია, ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ სულ უბრალო ტერმინებიც კი არ გვაქვს დამუშავებული და ერთსა და იმავე ცნების გამოსახატავად ათასგვარ სიტყვებს ვხმარობთ.

რამდენადაც გვახსოვს ეს დარიგებანი პირველად დაიბეჭდა „სასოფლო გაზეთში“. აქ პატივცემული ექიმი ხმარობდა ტერმინს ადუღებული წყალი“ „აუდუღებელი წყალი“. ასევე ხმარობენ აღმოსავლეთ საქართველოში, ასევე ხმარობს ამ სიტყვას ექიმი ვასილ წერეთელი. ქ. შ. წ. კ. გ ს. რედაქციით კი ეს სიტყვა იხმარება: „ნადუღარი“, ,,უდუღარი“ რაც ღრმა მეცნიერული მოსაზრების ნაყოფი უნდა იყოს.

X

## მძური მიმართვა.

### მღვდელთ იასონ და იოსელ ჭან-ჩულიძეს.

თქვენ შორის ჩამოვარდნილი უთან-ხმოება არა სასიამოვნოა [illegible] ლა თქვენ იდეურ თანამოაზრეებს. პირადად მე დიდ პატივსა ვსცემ ორივეს მოღვაწეობას, როგორც საეკლესიო, ისე საერო სარბიელზე ბეჩავი ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ. ამისათვის ჩემი უმორჩილესი თხოვნა თქვენდამი აი რა არის: ახლა, ბატონებო, კინკლაობის დრო არ არის; ხალხის ყველა ამ გაჭირვების დროს გულშემატკივარმა მხოლოდ საზოგადო საქმეზე უნდა იზრუნოს.

მსოფლიო ომმა დიდი ჭირ-ვარამი დაატეხა ჩვენს ხალხს თავზე ისმინეთ ქვრივ-ობოლთა კვნესა-გოდება; შვილების დაკარგვით გამწარებულ მშობელთა ოხვრა ტირილი; დამშეულ ხალხთა სამართლიანი ყვედრება და თქვენც თქვენი მოქმედება აქეთკენ მომართეთ. გაუძეხით გამოღვიძებულ ხალხს სწავლა განათლების მისწრაფებისაკენ და უწინამძღვრეთ იმათ მოზარდ თაობას, ხელი შეუწყვეთ ხალხში ახლათ დაწყებულ ეკონომიურ გამოღვიძება-წინმსვლელობას, და, მერწმუნეთ, რომ ჩქარა მოესწრებით იმ დამღუპველ ადათ-ჩვეულებების მოსპობას, რომლის გულისათვისაც სამდურავი მოგვიდით.

ნუ დავივიწყებთ სამღვთო წერილის სიტყვებს:„ იყვარებოდეთ ურთი ერთარს, რათა ერთობით აღვიარებდეთ“ ო, მამასა და ძესა და წმინდასა სულსა და მასთან ერთათ ძვირფას სამშობლოსაც, დავსძენთ ჩვენც ჩვენი მხრივ.

მღვდელი ვლადიმერ მაჭარაშვილი.

9 ოქტომბერი 1916 წელ.

## სპარსელი ქალები.

გარეგნული მხარე სპარსელი ქალისა, ყველაზე უფრო მიმზიდველია შავი დიდრონი თვალები რომელსაც ფარავს შავივე გძელი წამწამ-წარბები. შუბლს და თავს სპარსელი ქალი იმშვენებს და ირთავს მრავალ გვარ ფერადებით, (მზგავსათ ჩვენი ჩიხტაკოპისა) რომელიც აძლევს მას დიდ შნოს და სილამაზეს, განსაკუთრებით სიარულის დროს. წმინდა ტიპიური ცხოვრება სპარსეთში უფრო შენახული და დაცულია გლეხობაში. სოფელში ხშირათ ჰვდებით ლამაზ-ახალგაზდა სპარსელ ქალებს საუცხოვო მოყვანილ ნაზი ხელებით, მაგრამ ფეხები, სპარსელების უმრავლესობას, როგორც კაცს ისე ქალს მსხვილი დიდი და უშნო აქვსთ. სპარსელ ქალებს საძაგელი ჩვეულება აქვთ, ისინი ათასგვარ საღებავებით სცდილობენ მისცენ თავიანთ ბუნებრივათ შავ თმას რუხშავი ფერი. საერთოთ სპარსელების გემოვნების დამახასიათებელია წითელი და რუხ-შავი ფერი. საშვალო კლასის ქალები აქ ხშირათ უშობენ ორ გრძელ 15 სანტიმეტრიან დაპწნილ თმას, რომლითაც იხვევენ და იფარავენ ირგვლივ ლოყებსა და ყურებს. აგრეთვე ხშირათ ჩვენებურათაც ივარცხნიან და ილულებენ.

რადგან სპარსელთა წარმოდგენით ქალებს არა აქვსთ გონება და აზრი, ამიტომ მას უყურებენ როგორც პირუტყვს ,რომელიც მოვლენილია ქვეყნათ. ადამიანის (კაცის) შესაცდუნებლათ. ყურანის კანონები გარდა სარწმუნოებისა აძლევს მას მრავალ სხვა და სხვა ვალდებულებას.

ქალი ყურანის სიტყვით, მხოლოდ ნახევარი პასუხის მგებელია თავისი ცოდვების, რისთვისაც მან აქ უნდა გადაიტანოს შესაფერი სასჯელიც.

სპარსელები ქორწინებას უყურებენ, როგორც აუცილებლობას წმინდა წიგნები ლაღადობენ, რომ უქორწინება უარესია სიკვდილზე, რისთვისაც ანგარიში ქორწინებაში იქ პირველ ადგილზე, დგას. აქედან აიხსნება ისიც, რომ იქ ცოლქმარი ხშირათ შეუფერებელი არიან წლოვანებით. მიყვებიან ცოლათ ხშირათ მამათ და ბაბუათ შესაფერთ. საზოგადოთ იქ ქორწინება წყდება მატერიალური კითხვით. სპარსელი ასე ახასიათებს თავის ქორწინების საკითხს „ჩვენ ორვე მხარეს ვაწვევს ჯოჯოხეთის ხელები და რა სასჯელი იქნება ამისთვის აღარ იციან“.

მემკვიდრეობისა და მამულის შესანახათ სპარსელთა ოჯახებში ხშირათ ქორწინობენ მკვიდრი დები და ძმები. ქორწინების აქტში დიდ როლს თამაშობს მაჭანკლები უკანასკნელნი დადიან სოფლიდან სოფლათ და თუ ნახეს გასათხოვარი ახალგაზდა ლამაზი ქალიშვილი მიდიან მდიდარ ცოლსათხოვ ვაჟის სახლში და ეუბნებიან მშობლებს ინახულონ ქალიშვილის ნათესავები. ვაჟის მშობლები რამოდენიმე ხნის შემდეგ ესტუმრებიან ქალიშვილის მშობლებს. აქ ისინ თითქოს შემთხვევით მოხვდენ მიმართვენ მასპინძელს ამ სიტყვებით: „გამოვიარეთ ჩვენ თქვენს სახლთან და გავიფიქრეთ, როგორ არ შევიდეთ ამ მშვენიერ სახლში და არ დავისვენოთ შიგ თუნდ ერთ წუთს—ო“ მასპინძელს ესმის რა არის დამალული ამ სიტყვებში. ორივე მხარე სიყვარულით გამოეპაასებიან ერთმანეთს, რომლის შემდეგ მასპინძელი მოიტანს ჩაის სხვა და სხვა ტკბილეულობას. ამ დროს კი სტუმრები ეძებს და ათვალიერებს ქალიშვილს რომელიც იმალება თავის ოთახში და თუ სარძლომ მოახთინა კარგი შთაბეჭდილება მიიღებს უკვე „ოფიციალურ“ ხასიათს. ამის შემდეგ იწყება ლაპარაკი ან უკვე ვაჭრობა ქალის მზითვეზე. თეორიაში, ჩვეულების თანახმათ საქმრომ დაქორწინებამდის ვერ უნდა ნახოს თავისი ცოლის პირისახე, მაგრამ პრაქტიკაში ეს ასე არ ტარდება. მაჭანკალი მოიყვანს თავის სახლში საცოლეს და საქმროს კი რომელიც დამალულია შირმის ფარდას იქით ჩუმათ აქვს საშვალება დაათვალიეროს თავისი მომავალი ცოლი. ქორწინების წესს ასრულებს ორი მღვდელი ანუ მულლა. წესის შესრულების შემდეგ დაქორწინებული მიდის თავის დედამთილ-მამამთილთან, სადაც ის მიჯაჭვული იქნება მთელ თავის სიცოცხლეში. ქორწინების პირველი წლის განმავლობაში დედამთილი ხელმძღვანელობს რძალის მოქმედებას. კურანის კანონით ქმარს შეუძლია ურტყას თავის ცოლს, როგორც მონას. და თუ მას აქვს საკმაო მიზეზი, შეუძლია იგი სრულიათ გააგდოს. ამისთვის ღირს მხოლოთ დაისწროს მან მოწმე ამასთან სამჯერ გაიმეოროს „მე გეყრები შენ“. ქმარის ამ სიტყვებზე ქალი იფარავს პირ ბადეს და მიდის თავის დედ-მამასთან. ერთი თვის განმავლობაში მას ხდიან გამორიცხულათ ქმრის ოჯახიდან. საზოგადოთ ქმარი სარგებლობს დიდ უფლებებით, მას შეუძლია თუ მოისურვებს, შეურიგდეს გაგდებულ ქალს თუ რომ ის არ გათხოვილა ამ ხნის განმავლობაში. მაგრამ მიუხედავათ ასეთი ადვილათ შესაძლობლობისა ქალთან გაყრისა, გაყრა იქ იშვიათი მოვლენაა. გაყრის დროს ქმარი ვალდებულია სრულიათ დაუბრუნოს ცოლს თავის მზითვები თუ კი გაყრის მიზეზი თვითონ იგი კაცია. ცოლსაც შეუძლია გაცილდეს ქმარს, ამისთვის ის გაუცხადებს მულლას ქმართან უკმაყოფილებას, მაგრამ ქალი მიდის მაშინ უკაპეიკოთ. შვილის დაბადებას ისინი უყურებენ როგორც დიდ კურთხევას და ბედნიერებას, მაგრამ რამდენათ ისინი ბედნიერათ თვლიან ბიჭის დაბადებას იმდენათ უბედურათ ქალის დაბადებას. და მხოლოთ დიდი ოპტიმისტი თუ იტყვის; რომ ესეც სარუქარია ღთისა და ჩვენც უნდა დავმორჩილდეთ მის ნებას“ო. მოწინავე საზოგადოებაში არაა შემოღებული ქალზე ლაპარაკი და თუ აუცილებელია ახსენონ ისინი ლაპარაკობენ ასე: ალის დედა, ან და აბრაგიმისა და სხვა... ქალები სპარსეთში ნამდვილი მუშები არიან. ისინი ხნავენ, თესვენ, მკიან, რთავენ, ქსოვენ და სხვა სპარსეთში მამაკაცები ბრძანებლობენ ცოლებზე. ეს უკანასკნელნი კი მათი სურვილების უსიტყვოთ აღმასრულებელნი არიან.

იროდიონ ხანთაძე.

## სხვათა შორის

### უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა საყურადღებოდ.

ამ ბოლო დროს ძლიერ ჰკოდებს ქართველი საზოგადოება იმ ახალი კანონის გამო, რომლის ძალითაც მათ და საერთოდ კავკასიელთ, ნება ეძლევათ მხოლოდ ვარშავისა და სარატოვის უნივერსიტეტებში შესვლისა.

ძლიერ სამწუხაროა ეს აკრძალვა რუსეთის ყველა უნივერსიტეტებში შესვლისა, მაგრამ უმაღლესი განათლება მარტო უნივერსიტეტებით ისაზღვრება? განა რუსეთის იმპერიაში სხვა უმაღლესი სასწავლებელი არ მოიპოვება. ნეტა რად გაურბიან ჩვენი სტუდენტები სპეციალურ სასწავლებლებს, თუმცა გამონაკლისიცაა, რასაკვირველია!?

ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლია უნივერსიტეტებს მხარი აუქციოთ და სპეციალურ სასწავლებელში მივიღოთ განათლება! განა ჩვენ ქვეყანას არ სჭირია ასეთი სასწავლებელი და იქ ექიმ-ვექილთა მეტი არავინაა საჭირო?! განა ამას არ დაგვცინოდენ სომხები, როცა ქართველ-სომეხთა ანტაგონიზმს იმითი ხსნიდენ რომ ქართველ ინტელიგენციას არა აქვს მიღებული სპეციალური სწავლა და ისინი სხვის დაქირავებით ირჩენენ თავსო. ამ მქირავებელათ გამოდის ან მთავრობა და ან მდიდარი სომხობა, მაგრამ ისინი თავისიანებს არჩევენ და ქართველებს გზაზე სტოვებენო.... და აქედან სომხები ამ ანტაგონიზმს, ქართველ მოწინავე ინტელიგენციის ხელოვნურად შექმნილ მოვლენად სთვლიდენ.

მიზეზათ ასახელებენ ჩვენს არა სპეციალისტობას!

უმაღლესი სპეციალური სასწავლებლები ასობით ითვლება რუსეთში, როდესაც მხოლოდ თერთმეტი უნივერსიტეტია, და იქ მხოლოდ ისევ იმ მდიდართა და მწარმოებელთა შვილები იზრდებიან, თორემ ქართველი, თუ ძალა უნებურად არ მოხვდა იქ ისე გაურბის მას, როგორც შავ ჭირს.

ჩემი სიტყვები თუ არ გჯერათ გადაავლეთ თვალი საზაფხულოდ ჩამოსულ ჩვენს ახალგაზდობას და თქვენ დაინახავთ თუ ვინა სჭარბობს.

დროა, ბატონებო, ჩვენც გავხდეთ სპეციალისტებათ და ჩვენვე გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის უხვი სიმდიდრე და დოვლათი!..

ამას უნდა ანგარიშს უწევდეს ჩვენი ახალგაზდობა და ამის მიხედვით არჩევდეს უმაღლეს სასწავლებელს ცოდნის მისაღებათ.

ახალი მიქელ.

## რუსეთი.

1919—1917 წლის განმავლობაში, მთავრობის განკარგულებით სპირტის გამოხდა მთელ რუსეთში აღკრძალულია.

———

სასურსათო საკითხის გადასაწყვეტად პროტოპოპოვის მონაწილეობით მინისტრთა თათბირი მოხდა. თათბირზე დაადგინეს, რომ პროტოპოპოვის მეთაურობით დაარსდეს განსაკუთრებული უწყება, რომელსაც უნდა გადაეცეს სასურსათო საქმე. ამბობენ პროტოპოპოვი მხოლოდ გარეგნულად ჩაითვლება შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგედ, ნამდვილად კი მის ამხანაგს ექნება ჩაბარებული სამინისტროს საქმეებიო.

———

სახ. სათათბიროს თავმჯდომარეს როძიანკოს შტიურმერისთვის წერილით მიუმართავს საჭიროა რაც შეიძლება ადრე იქნეს მოწვეული სათათბიროვო.

———

ტყუილი გამოდგა ხმები ვითომც უმაღლეს ხელმძღვანელ წრეებს როძიანკოს მინისტრად დანიშვნა ჰქონოდეთ აზრად.

———

პროტოპოპოვს აზრად ჰქონია გააუქმოს ყოველგვარ სურსათზე დაწესებული ნიხრი.

———

პროტოპოპოვს შეუჩივლია თავის მეგობრებისათვის დღეში 18 საათს ვმუშაობთ და თუ სხვები არ მომეხმარენ მარტო ვერ აუვალ ამოდენა საქმესაო.

———

კიევში და ბაქოში დიდძალი გადმალული შაქარი აღმოაჩინეს და პატრონებს ჩამოართვეს.

## უცხოეთი.

განზრახულ რუსეთის ახალი სამხედრო სესხის დიდი ნაწილი იაპონიაში იქნება განაღდებული. ამ საქმეში მეთაურობას იაპონიის თვით სახელმწიფო შემნახველი კასები გასწევენ.

———

კოპენჰაგენიდან მოსულ ცნობების მიხედვით, ავსტრია უნგრეთის მართვა გამგეობაში თანდათან პირველობა უნგრეთის ხელში გადადის. საპასუხისგებო თანამდებობაზე უნგრელები ინიშნებიან. ეხლაც ავსტრო უნგრეთის საგარეო მინისტრად ინიშნება უნგრელი ვჰოგაჰი, რომელსაც სერბეთისადმი მიმართულ ულტიმატუმის შედგენას აწერენ.

———

გერმანეთში კვლავ იწყო გამოსვლა სოციალ დემოკრატების გაზეთმა „ფორვერცმა“, მაგრამ ეხლა იგი პარტიის მარჯვენა ფრთის აზრების გამომხატველია.

———

შვეციასა და ინგლისის შორის ამ ჟამად მოლაპარაკება სწარმოებს მათ შორის ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ.

———

საფრანგეთში ეხლახან რადიკალების საერთო ყრილობა მოხდა. თავმჯდომარე შარპანტიეს სხვათა შორის უთქვამს: „ომი გაჭიანურდა და მუდმივი ხასიათი მიიღო; რაც შესაძლებლად ხდის პოლიტიკურ ცხოვრების რამდენადმე აღდგენას; ჩვენს პარტიას დიდ ხანს ქძინა და დროა ეხლა მაინც განვიხილოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა და ომის მიზნებიო.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული გაზეთის ერთ ერთ ნომრის ახალ ამბავში მოთავსებული იყო, ვითომც ჩვენ „ცნობილ სპეკულიანტს“ ფეხვნილი შაქარი „რეგულიატორისათვის“ წაგვერთმიოს, ჩვენ ჩაგვეგდოს ხელში და ხალხს ვაწუხებდეთ.

როგორც სჩანს თქვენ შეცდომაში შეუყვანიხართ.

ფხვნილი შაქარი ჩვენ გამოწერილი გვქონდა თვითმართველობის შუამდგომლობით და ამ მოსაზრებით არავის უფლება არა ჰქონდა ჩვენთვის შაქარი ჩამოერთმია, და რაიმე საყვედური ეთქვა, ვინაიდგან შაქარი დავარიგეთ თანახმად თვითმართველობის ჩვენებისა, როგორც კი გავსწყვიდით.

რაც შეეხება ჩვენს „სპეკულიანტათ“ მონათვლას, არ ვიცით რითი დავიმსახურეთ ასეთი სახელი.

სავაჭრო სახლი „ძმანი კუზანოვები“.

## ჩვენი ფოსტა.

რაკი „ჩვენი მეგობარი“ ერთი წლის გახდა და კბილები ამოსდის, დრძილების ქავილს კბენით იამებს.

ეს საზოგადო ჩვეულებაა ყოველივე მოზარდისა. განა არ გინახავთ აფ-ზნიანი ბავშვი, რომ დედს თავის მარჩენალ ძუძუზე ჰკბენს ხოლმე?

„ჩვენი მეგობარიც“ ასე იქცევა და სხვა ყველა სიკეთესთან, ენასაც გვასწავლის. უმდაბლესს მადლობას მოვახსენებთ და ვეცდებით კიდეც ჭკუით უსუსურის რჩევით ვისარგებლოთ—კარგი ღლაპისაგანაც მიიღების—და შეძლებისდაგვარად გავისწოროთ ენა და გამოთქმა, მაგრამ რადგანაც „ჩვენი მეგობარი“ იმდენად უზრდელია, რომ თავის თვალში ძელს ვერა ხედავს, როცა სხვის ბეწვებს ითვლის, ჩვენ თავს მოვალედ ვსთვლით ამოვწეროთ ხოლმე „ჩვენი მეგობრის“ მწერების ჭუკჭუკი, რომ შემდეგში უმართებულოდ არავინ დაწიხლონ.

გვეწუნებს რა ქართულს „ჩვენი მეგობარი“ თვით სწერს:

„ხსენებული ავათმყოფი მღვდელი ხემსაძე გზაში უკვე გარდაიცვალა, რომელიც მამასახლისის განკარგულებით შეჩერებულია ხელურის ტყეში. („ჩ. მ.“ № 179, გვერდი მეოთხე, სვეტი მესამე, 27 სტრიქონი ქვეიდან) ქრისტე ღმერთი ვერ გაიგებს რა არის შეჩერებული? „გარდაიცვალა“ შეჩერებული მამასახლისისაგან, თუ „შეჩერებულია“ თვით ერთი წლის „ჩვ. მ.“-ს სამართლიანობა და ტვინის მოძრაობა?

შეთრე მაგალითი. „ჩვენი მეგობრის“ სიტყვაკაზმულობის.

„ჩვ. მ.“ გვიკიჟინებს, ვითომც ჩვენვე გაგვმათრახებინოს ჩვენი თავი, მაგრამ, გვგონია მისამართი შეცვლია და „მუშათა მფარველი, —„დემოკრატების“ გაზეთს ავიწყდება როგორ მასხარათ აგდებინებს თავის მგოსანს ბ ნ ჭაბურთელს მთელ თავისს მოძღვრებას. აი როგორ ახასიათებს ეს მგოსანი გაზ. „ჩ. მ.“-ს მთელ მოღვაწეობას.

### შრომის შვილს.

მწარეა, მწარე შენი სიცოცხლე!
მწარეა, მუშავ, როგორც ნაღველი!
მე დამიჯერე .. ყველა გიმონებს...
ისიც კი, ვინც გუშინ ვითომ დამცველი
ნუღარ ენდობი ხურავის სიტყვას!
სიტყვა ღამაზი წყლულს ვერ განკურნავს...
მე დამიჯერე... ყველა გატყუებს...
ისიც კი, შენთვის ვინც ვითომ ზრუნავს..
შენ თვითონ უნდა მოსძებნო წყლული,
წყლული სიმწვავით გარემოცული,
თორემ ვის უნდა შენი მიჯნური:
ლაფათქა-ბარი, ნამგალი, ცული?!.

(იხ. „ჩვ. მ.“ № 179)

———

ოღონდაც! სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებს ბ-ნი მგოსანი, ვინაიდგან ყველაზე ძალიან „შრომის შვილს“ ატყუებს ის, ვინც „ჩვენი მეგობარივით“ მისთვის ვითომ ზრუნავს და ამ მხრივ სასაყვედურო არა გვაქვს რა. ვუსაყვედურებთ „ჩვენ მეგობარს“ მხოლოდ ჩიქორთულობას. რად დასჭირდა ახალგაზდა მგოსანს ეს რაღაც „ლაფათქა“, როცა ჩვენ მშვენიერი სიტყვა გვაქვს „ნიჩაბი“!

კარგს იზამს ბ ნი ჭაბურთელი თუ ამ „ლაფათქაზე“ დასდებს „ჩვენ მეგობარს“ და გადაასვრის შორს, რომ თავის მხამიან სწავლასთან ერთად არა სწამლავდეს მშრომელი ხალხის წმინდა ხალხურ ენასაც.

(შემდეგი იქნება.)

რედაქტორი ი. ცინცაძე.

გამომცემელი ამხან. „სამშობლო“




რკინის გზის მატარებლები
(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | დილის | 7 ს. 25 წ. | |
| „ | საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | დღისით | 12 ს. 40 | „ |
| „ | ღამის | 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | დილის | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | საღამოს | 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | დილის | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | დილის | 11 ს. — | „ |
| „ | ღამის | 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | საღამოს | 7 ს. 3 | „ |
| „ | დილის | 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | დღისით | 4 ს | „ |
| ტყიბულისკენ | დილის | 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | დღით | 5 ს. 18 | „ |

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით. თ.

# სუსუნაკი.

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ ხარისხოვანი „**გონოზანით**“ ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება ნაცადია **თბილისის, რუსეთისა** და **საზღვარგარეთელ ექიმებისა** და **პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია:** თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და უბარი საშუალებაა. ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და ორი შუშის შეშხაპუნებით, რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავათმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შესაშხაპუნებელი ღირს 9 მანეთი სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ თბილისი**, თხინვალის ქუჩა № 12, მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოის ქუჩის.

Р Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3

# ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაკტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლთა. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ურდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)



მსწრაფლმბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან